ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

სს ენერგო-პრო ჯორჯია
ექ№ 23 023 316
15 - 07 2020
JSC ENERGO-PRO GEORGIA

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ ქ. ფოთის ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით იგეგმება 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანება.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა „110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის სკრინინგის ანგარიში".

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ნოემბრის №2-1070 ბრძანების თანახმად დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სს „ენერგო-პრო ჯორჯია" ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული საყრდენების ნუმერაციის სკოპინგის ანგარიშში ცვლილება განპირობებულია, კომპანიაში განხორციელებული ახალი შიდა ინვენტარიზაციით, რომლის დროსაც ეგხ-ს უკეთესი მართვა/ექსპლუატაციისათვის მოხდა საყრდენების ნუმერაციის დაზუსტება და გადანომრა.

რაც შეეხება სკრინინგის განცხადებაში მოცემული გასაორჯაჭვიანებელი ეგხ-ს ტრასის მანძილის სკოპინგის ეტაპზე ცვლილებას, განპირობებულია ეგხ ჭალადიდის #150 (სკრინინგის განცხადების ნუმერაციით #1/154) საყრდენის გაუქმებით, საიდანაც იწყებოდა ეგხ-ს გაორჯაჭვიანება სკრინინგის განცხადების თანახმად. კომპანიაში განხორციელებული საპროექტო ცვლილებები ემსახურება ეგხ-ს ტრასის გაუმჯობესებას როგორც შემდგომში მართვა/ექსპლუატაციის მიზნით, ასევე დაქსელვის ხარისხის გაზრდის ხარჯზე საყრდენების შემცირებას, რაც ამცირებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებას. ცვლილებების შედეგად ქვ/ს „ფოთი 4"-ის ქვ/ს „ფოთი 2"-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ეგხ-ს გაორჯაჭვიანება მოხდება 110 კვ ძაბვის „ჭალადიდის" ეგხ-ს #151-ე საყრდენიდან, რამაც სკრინინგის განცხადებაში მოცემული მანძილი 2,114მ შეამცირა და შეადგინა 1,992 მეტრი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10906
"15" 07 2020
2 ფ.
03

სკოპინგის ანგარიშში ასევე მოცემულია სარეკონსტრუქციო ეგხ-ის ტრასის სრული სიგრძე, რომელიც შეადგენს 2,294 მეტრს და მანძილის ათვლა დაწყებულია ერთჯაჭვიანი #149 საყრდენიდან, რომელიც #149ა საყრდენის გავლით უერთდება #151 საყრდენს, საიდანაც 110 კვ ეგხ „ჭალადიდი" ორჯაჭვიანდება „ფოთი 4"-ის ქვ/ს „ფოთი 2"-თან დამაკავშირებელ ეგხ-სთან.

ამასთან სკოპინგის ანგარიშის 4.20 სურათზე მოცემულია 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების ტრასის გეგმა, სადაც წამოდგენილია გასაორჯაჭვიანებელი, სარეკონსტრუქციო და გასაუქმებელი საყრდენები კოორდინატებით, პიკეტაჟებით და საყრდენებს შორის მანძილებით.

დანართი CD დისკზე:

- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანების პროექტის სკოპინგის ანგარიში;
- საყრდენების კოორდინატები (Shp ფაილები).

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი: ლევან იოსელიანი /ტელ: 577 35 13 97